



2023  
წელი

# შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო  
უნივერსიტეტის დებულება

დამტკიცებულია: 13.06.2022 წ.

მმართველი საბჭოს N1 ოქმი

## **მუხლი 1 მოქმედების სფერო**

- 1.წინამდებარე დებულება (შემდგომში „**დებულება**“) ადგენს შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში „სასწავლო უნივერსიტეტი“) ორგანიზაციული მართვის ძირითად საკითხებს, უსდ-ს სტრუქტურული ერთეულების/თანამდებობის პირთა ფუნქციებს, სტუდენტის, აკადემიური/მოწვეული/დამხმარე პერსონალის უფლება-მოვალეობებს, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის არსს და აკადემიური ხარისხის მინიჭების ზოგად წინაპირობებს;
2. საკითხები, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე დებულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა ან/და სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი შიდა სამართლებრივი აქტებით;
- 3.წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული, სასწავლო უნივერსიტეტის ცალკეული სტრუქტურული ერთეულების თანამშრომელთა სამუშაოს აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება ამ დებულების დანართით (დანართი N1), ეს უკანასკნელი არის დებულების განუყოფელი ნაწილი.

## **მუხლი 2 უნივერსიტეტის სამართლებრივი სტატუსი**

1. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში წინამდებარე დებულებაში მოხსენიებული, როგორც „უსდ“ ან „უნივერსიტეტი“) არის კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აქვს სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსი;
2. უნივერსიტეტის ძირითადი საქმიანობაა საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. სასწავლო უნივერსიტეტი ახორციელებს საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის პროგრამებს. უნივერსიტეტი უფლებამოსილია განახორციელოს სხვა საგანმანათლებლო პროგრამები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაბამისი უფლების მოპოვების შემდეგ;
3. სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობა წარიმართება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი შიდა სამართლებრივი აქტებითა და ამ დებულების შესაბამისად;
4. სასწავლო უნივერსიტეტში სწავლების ენა არის ქართული. ცალკეულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შესაძლოა უცხო ენოვანი სასწავლო კურსების სტუდენტებისთვის შეთავაზება. ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამები უნივერსიტეტში შესაძლოა განხორციელდეს უცხო ენაზე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;
5. სასწავლო უნივერსიტეტის სახელწოდება: შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი;
6. სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის ვადა განუსაზღვრელია;

7. სასწავლო უნივერსიტეტის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, სამღერეთის ქუჩა N5
8. სასწავლო უნივერსიტეტი საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებს ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ იურიდიულ მისამართზე;
9. სასწავლო უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ გვერდია: [www.gttu.edu.ge](http://www.gttu.edu.ge);
10. უნივერსიტეტს აქვს ლოგო, ბეჭედი და ტიტულოვანი ფურცელი, რომლებსაც ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი ბრძანებით.

### **მუხლი 3 უნივერსიტეტის მისია**

#### **1. უნივერსიტეტის მისიაა:**

შექმნას ინოვაციური ცოდნის პლატფორმა საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში. უზრუნველყოს პრაქტიკულ კვლევებზე დაფუძნებული მაღალი ხარისხის განათლება; სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო ურთიერთობების დიაპაზონის გაფართოება და დივერსიფიცირება; ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულის მომზადება, რომელიც, ეთიკურ და დემოკრატიულ პრონციპებზე დაყრდნობით, თავისუფალი და შემოქმედებითი მიდგომებით, ადვილად შეძლებს ცვალებად გარემოში ადაპტირებას.

#### **2. უნივერსიტეტის ღირებულებებია:**

- ხარისხის კულტურის განვითარება.
- ეროვნული და საერთაშორისო ფასეულობების პატივისცემა;
- სამართლიანობა, აკადემიური კეთილსინდისიერება და თავისუფლება;
- კოლეგიალობა, გამჭვირვალობა, გუნდურობა; სასწავლო უნივერსიტეტის განახლებული მისია გაზიარებულია ყველა დაინტერესებული პირისათვის. კერძოდ: სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული დამხმარე პერსონალისთვის.

### **მუხლი 4 უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა:**

#### **1. უნივერსიტეტის უმაღლესი მართვის ორგანოები/სუბიექტებია:**

- ა. პარტნიორთა კრება
- ბ. მმართველი საბჭო;
- გ. რექტორი;
- დ. კანცლერი;

#### **2. უნივერსიტეტის ფაკულტეტის მმართველი ორგანოები/სუბიექტებია:**

- ა. ფაკულტეტის დეკანი;
- ბ. ფაკულტეტის საბჭო.

#### **3. უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა განისაზღვრება ქვემოთ მოყვანილი სუბიექტებით/ორგანოებით:**

- ა. მმართველი საბჭო;
- ბ. რექტორი;
- გ. კანცლერი;
- დ. ვიცე- რექტორი ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით;
- ე. ვიცე-რექტორი სასწავლო პროცესის მიმართულებით;
- ვ. მრჩეველი;

- ზ.საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური;
- თ. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
- ი.სასწავლო პროცესის მართვის სამსახური;
- კ. კვლევების ხელშეწყობის ცენტრი;
- ლ. ადამიანური რესურსების მართვის სამსახური;
- მ.ფინანსური სამსახური;
- ნ.მარკეტინგისა და სტრატეგიული კომუნიკაციების სამსახური;
- ო.იურიდიული სამსახური;
- პ.კანცელარია;
- ჟ.ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური;
- რ.მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური;
- ს.დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური;
- ტ. ბიბლიოთეკა
- უ.სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობისა და კარიერული მხარდაჭერის სამსახური;
- ფ. პროფესიული განვითარების ცენტრი;
- ქ. ჩინეთის საერთაშორისო განათლების ინსტიტუტი;
- ღ.ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი;
- ყ.სამართლის ფაკულტეტი.
- შ. საგამოცდო ცენტრი.

## მუხლი 5 პარტნიორთა კრება

- 1.უნივერსიტეტის მართვის უმაღლესი ორგანოა პარტნიორთა კრება.
2. პარტნიორთა კრება უფლებამოსილია:
  - ა. თანამდებობაზე დანიშნოს/გაათავისუფლოს უნივერსიტეტის რექტორი და კანცლერი;
  - ბ. ნებისმიერ დროს მიიღოს ინფორმაცია უნივერსიტეტის საქმიანობის, ფინანსური მდგომარეობისა და უნივერსიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ საკითხზე;
  - გ. ნებისმიერ დროს მოსთხოვოს უნივერსიტეტის რექტორსა და კანცლერს მათი უფლებამოსილების ფარგლებში შესაბამისი ანგარიში უნივერსიტეტის საქმიანობის, უნივერსიტეტში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ და უნივერსიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა არსებით საკითხებზე;
  - დ. ყოველის წლის ბოლოს, უნივერსიტეტის რექტორისა და კანცლერისაგან მიიღოს სრული ინფორმაცია (ანგარიში) უნივერსიტეტის საქმიანობის, ფინანსური მდგომარეობის და სხვა არსებითი საკითხების შესახებ;
  - ე. საჭიროების შესაბამისად, მისცეს უნივერსიტეტის რექტორსა და კანცლერს რეკომენდაციები უნივერსიტეტის სტრუქტურის შესახებ;
  - ვ. უზრუნველყოს უნივერსიტეტისათვის ცალკეული ფინანსური სახსრების მოძიება ან/და ფინანსური სახსრების მოძიებისათვის ხელის შეწყობა.

## მუხლი 6 რექტორი

- 1.რექტორი არის უნივერსიტეტის უმაღლესი თანამდებობის მქონე რომელიც ხელმძღვანელობს უნივერსიტეტს. რექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს პარტნიორთა კრება.
2. რექტორის უფლებამოსილებას განეკუთვნება:

- ა. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების და უნივერსიტეტში დასაქმებული პირების ეფექტიანი მართვა;
- ბ. უნივერსიტეტის წარმოდგენა მესამე პირებთან ურთიერთობაში;
- გ. უნივერსიტეტის საქმიანობის სტრატეგიული გეგმისა (7-წლიანი), და სამოქმედო გეგმის (3-წლიანი) შემუშავების კოორდინირება. ასევე ამ გეგმ(ებ)ის შესრულების კონტროლი;
- დ. უნივერსიტეტში გუნდური მუშაობის პრინციპის დანერგვა და მისი განხორციელების ხელშეწყობა;
- ე. უნივერსიტეტის სტრუქტურის შემუშავებაში მონაწილეობა, მმართველი საბჭოს დებულებით, წინამდებარე დებულებით და უნივერსიტეტში მოქმედი შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად;
- ვ. საჭიროების შესაბამისად, უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტების დამტკიცება;
- ზ. სწავლის საფასურის ოდენობის განსაზღვრისა და მისი გადახდევინების წესის, ფორმის, ვადების დამტკიცება;
- თ. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემა კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭებისა და მათთვის დიპლომისა და დიპლომის დანართის გაცემის თაობაზე;
- ი. ფაკულტეტის წარდგინებით, აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ სამართლებრივი აქტის გამოცემა. ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წარდგინებით, კონკურსის შედეგად შერჩეული აკადემიური პერსონალის თანამდებობებზე დანიშნვა, მათთან ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულების გაფორმება. ასევე, ფაკულტეტის წარდგინებით, მოწვეული ლექტორების შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე დანიშნვა ან/და მოწვეული ლექტორის პოზიციაზე კონკურსის გამოცხადება და მათთან ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულების გაფორმება;
- კ. ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წარდგინებით, ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის დანიშნვა და მათთან ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულების გაფორმება. ასევე, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წარდგინებით ან/და დისციპლინური კომისიის გადაწყვეტილებით პერსონალის სამსახურიდან გათავისუფლება;
- ლ. ცალკეული სტრუქტურული ერთეულების წარდგინებით, პერსონალის მივლინებაში გაგზავნის თაობაზე ბრძანების გამოცემა;
- მ. ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წარდგინებით, პერსონალის წახალისების შესახებ ბრძანების გამოცემა;
- ნ. დისციპლინური კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე პერსონალის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენების თაობაზე სამართლებრივი აქტის გამოცემა;
- ო. სტუდენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებზე ხელმოწერა;
- პ. ფაკულტეტის წარდგინებით, სტუდენტის სტატუსის მოპოვების/შეჩერების/შეწყვეტის/აღდგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღება და ბრძანების გამოცემა;
- ჟ. მმართველი საბჭოს საქმიანობის ხელმძღვანელობა;
- რ. უნივერსიტეტის სამტატო განრიგის დამტკიცება;
- ს. უნივერსიტეტის თანამშრომლის შვებულების თაობაზე ბრძანების გამოცემა.
- ტ. უნივერსიტეტის შინაგანაწესით გათვალისწინებული წესის შესაბამისად დისციპლინური კომისიის შექმნა;
- უ. ფაკულტეტის წარდგინებით, სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომების თემატიკის/ხელმძღვანელების/რეცენზენტების დამტკიცება;



ფ. სხვა საქმიანობის განხორციელება, რომელიც გამომდინარეობს რექტორის პოზიციიდან და ემსახურება უნივერსიტეტის მიზნებსა და ამოცანებს ან/და დადგენილია უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტით;

3. რექტორი, უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გამოსცემს სამართლებრივ აქტს - ბრძანებას. საჭიროების შემთხვევაში უფლებამოსილია გასცეს მინდობილობა.

4. რექტორის მიერ ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“, „ი“, „კ“ „ლ“, „მ“ და „რ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელება, კერძოდ საკითხის საბოლოო დამტკიცება და შესაბამისი ბრძანების გამოცემა საჭიროებს უნივერსიტეტის კანცლერის წერილობით დასტურს;

5. წინამდებარე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების გარდა, რექტორის ნებისმიერი გადაწყვეტილება რომელიც პირდაპირ ან/და არაპირდაპირ აისახება უნივერსიტეტის ფინანსურ მხარეზე, კერძოდ საჭიროებს ფინანსური სახსრების გაცემას ან/და დაკავშირებულია უნივერსიტეტის შემოსავლის შემცირებასთან ან/და გულისხმობს უნივერსიტეტის ფინანსების/მატერიალური ფასეულობების ნებისმიერი ფორმით განკარგვას, საჭიროებს კანცლერის წერილობით თანხმობას.

6. წინამდებარე მუხლის, მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული საკითხების დამტკიცებისას, გამოცემულ ბრძანებას ერთვის რექტორისა და კანცლერის ხელმოწერა ერთად.

## **მუხლი 7 კანცლერი**

1. უნივერსიტეტის კანცლერი არის უნივერსიტეტის უმაღლესი ადმინისტრაციული მმართველი, ფინანსური, მატერიალური და ადმინისტრაციული რესურსების მართვის სფეროში.

2. კანცლერს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს პარტნიორთა კრება;

3. კანცლერი უფლებამოსილია:

ა. უხელმძღვანელოს უნივერსიტეტის საქმიანობის ფინანსურ მხარეს;

ბ. უნივერსიტეტის სახელით, რექტორთან ერთად დადოს ფინანსური ხასიათის გარიგებები. კერძოდ, ისეთი გარიგებები, რომლებიც ნებისმიერი ფორმით აისახება უნივერსიტეტის ფინანსურ მდგომარეობაზე;

გ. მართოს და განკარგოს უნივერსიტეტის ფინანსური სახსრები და მატერიალური ფასეულობები, უზრუნველყოს უნივერსიტეტის ფინანსური და მატერიალური რესურსების რაციონალური მართვა;

დ. კორდინაცია და კონტროლი გაუწიოს ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური სამსახურის მუშაობას;

ე. ხელი მოაწეროს უნივერსიტეტის სახელით გაფორმებულ გარიგებებს, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ ან/და ეკონომიკურ საქმიანობასთან;

ვ. გასცეს წერილობითი თანხმობა ან/და დასაბუთებული უარი ამ დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“, „ი“, „კ“ „ლ“, „მ“ და „რ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რექტორის უფლებამოსილების განხორციელებისას. ასევე გასცეს წერილობითი თანხმობა ან/და დასაბუთებული უარი, რექტორის ყველა იმ გადაწყვეტილებაზე, რომელიც პირდაპირ ან/და არაპირდაპირ აისახება უნივერსიტეტის ფინანსურ მხარეზე, კერძოდ საჭიროებს ფინანსური სახსრების გაცემას ან/და დაკავშირებულია უნივერსიტეტის შემოსავლის შემცირებასთან ან/და გულისხმობს უნივერსიტეტის ფინანსების/მატერიალური ფასეულობების ნებისმიერი ფორმით განკარგვას;

ზ. განსაზღვროს და რექტორთან ერთად დაამტკიცოს უნივერსიტეტის საშტატო განრიგით გათვალისწინებულ თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების ოდენობა, უნივერსიტეტში მოქმედი შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული წესით;

4. კანცლერი ანგარიშვალდებულია პარტნიორთა კრების წინაშე.

5. კანცლერი, უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გამოსცემს სამართლებრივ აქტს - ბრძანებას. საჭიროების შემთხვევაში უფლებამოსილია გასცეს მინდობილობა.

## **მუხლი 8 მრჩეველი**

1. რექტორსა და კანცლერს ჰყავს მრჩევლები, რომელთა მიზანია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების ხელშეწყობა;

2. მრჩევლებს ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი, ამ დებულების მე-6 მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად. მრჩეველთან ფორმდება ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულება.

3. მრჩევლის ფუნქციები და მოვალეობები განისაზღვრება მათთან გაფორმებული ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით.

4. რექტორის მრჩევლის ფუნქციებია:

ა. სტრატეგიული განვითარების მიმართულებების შესრულებისა და მიღწევადობის ინდიკატორების შემუშავება;

ბ. უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების ღონისძიებების ზედამხედველობა;

გ. ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებით ლოკალურ პოლიტიკის შემუშავება და სასწავლო უნივერსიტეტის რექტორისთვის წარდგენა შემდეგი რეაგირებისათვის;

დ. საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო უნივერსიტეტის წინაშე მდგარი ისეთი გადაწყვეტილებების მიღებაში ჩართულობა, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს უსდ-ს სტრატეგიულ განვითარებაზე;

ე. სხვა მიმდინარე დავალებების შესრულება, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

5. რექტორის მრჩეველი ანგარიშვალდებულია უშუალოდ რექტორის წინაშე;

6. კანცლერის მრჩევლის ფუნქციებია:

ა. ფინანსური სტრატეგიის შემუშავება და კანცლერისთვის წარდგენა;

ბ. ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით ლოკალური პოლიტიკის შემუშავება და სასწავლოების რექტორისთვის წარდგენა შემდეგი რეაგირებისათვის;

გ. საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო უნივერსიტეტის წინაშე მდგარი ისეთი გადაწყვეტილებების მიღებაში ჩართულობა, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს უნივერსიტეტის ფინანსურ მდგრადობაზე;

დ. სხვა მიმდინარე დავალებების შესრულება, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

7. კანცლერის მრჩეველი ანგარიშვალდებულია უშუალოდ კანცლერის წინაშე.

## **მუხლი 9 მმართველი საბჭო**

1. მმართველი საბჭო არის უნივერსიტეტის, კოლეგიური მართვის ორგანო, რომელიც წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უმრავლესობით;

2. მმართველ საბჭოს ხელმძღვანელობს რექტორი;

3. მმართველი საბჭოს დაკომპლექტებისა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს მმართველი საბჭოს დებულება;
4. მმართველი საბჭოს დებულებას ამტკიცებს რექტორი ბრძანებით;
5. მმართველი საბჭოს უფლებამოსილებას მიეკუთვნება:
  - ა. უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის, მისიის, ხედვის განხილვა და დამტკიცება;
  - ბ. უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმის განხილვა და დამტკიცება;
  - გ. ფაკულტეტის წარგინებით, აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცება, ასევე ფაკულტეტის წარგინებით, აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების ან/და ახალი პროგრამის შემუშავების შესახებ გადაწყვეტილების მიღება, ფაკულტეტის წარდგინებით არსებული აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანა;
  - დ. უნივერსიტეტის საბიუჯეტო პოლიტიკის განსაზღვრა, დამტკიცება;
  - ე. უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განსაზღვრა, დამტკიცება;
  - ვ. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის განსაზღვრა, დამტკიცება;
  - ზ. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის განსაზღვრა, დამტკიცება;
  - თ. უნივერსიტეტის სტრუქტურის საკითხების განხილვა და დამტკიცება, უნივერსიტეტის დებულების განხილვა, დამტკიცება;
  - ი. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების შექმნის, მათი რეორგანიზაციის და გაუქმების ასევე ფაკულტეტების შექმნის, რეორგანიზაციის და გაუქმების საკითხების განხილვა და დამტკიცება;
  - კ. ეთიკის კოდექსის განხილვა და დამტკიცება;
  - ლ. ბიუჯეტის ან/და არსებულ ბიუჯეტში ცვლილებების განხილვა და დამტკიცება;
  - მ. ბიუჯეტის შესრულების თაობაზე პერიოდული ანგარიშის მოსმენა;
  - ნ. უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმის პერიოდული ანგარიშის მოსმენა;
  - ო. ხარისხის განვითარების პერიოდული ანგარიშის მოსმენა;
  - პ. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის პერიოდული ანგარიშის მოსმენა;
  - ჟ. საპატიო დოქტორის სტატუსის მინიჭება;
  - რ. სასწავლო წლის დასაწისში, ფაკულტეტების წარდგინებით, მისაღები კონტიგენტის ოდენობის, ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის არჩევითი საგნების, არჩევითი საგნების მიხედვით კვოტის, გამოცდების კოეფიციენტებისა და საგანთა პრიორიტეტების დამტკიცება, სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცება;
  - ს. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით სამაგისტრო გამოცდის კოეფიციენტების დამტკიცება სამაგისტრო გამოცდისთვის, ასევე ფაკულტეტის წარდგინებით, სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები სტუდენტთა რაოდენობის დამტკიცება.
  - ტ. სამინისტროს მიერ დამტკიცებული საერთაშორისო გამოცდების ჩამონათვალის გათვალისწინებულ გამოცდაში ფაკულტეტის წარდგინებით, მინიმალური კომპეტენციის ზღვარის დაწესება;
  - უ. აკადემიური/მოწვეული პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის დამტკიცება;
  - ფ. უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით პირდაპირ გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილების შესრულება.
6. მმართველი საბჭო მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისას გამოსცემს იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტს - დადგენილებას;
7. საბჭოს სხდომები ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.



## მუხლი 10 ფაკულტეტის დეკანი

1. სასწავლო უნივერსიტეტის ფაკულტეტის ხელმძღვანელობას ახორციელებს ფაკულტეტის დეკანი. ფაკულტეტის დეკანი უშუალოდ ექვემდებარება და ანგარიშვალდებულია სასწავლო პროცესის მიმართულებით ვიცე რექტორის წინაშე;
2. დეკანს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი. წინამდებარე დებულების, მე-6 მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;
3. ფაკულტეტის დეკანის ფუნქციებია:
  - ა. ფაკულტეტის საბჭოს ხელმძღვანელობა;
  - ბ. საჭიროების შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭოს სხდომის მოწვევა/წარმართვა;
  - გ. ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო, საგანმანათლებლო პროცესის წარმართვა, სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტიანობის უზრუნველყოფა;
  - დ. ფაკულტეტის საბჭოსთვის, ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმისა და ყოველწიური სამოქმედო გეგმის წარდგენა, ასევე ფაკულტეტის საბჭოსთვის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების წარდგენა;
  - ე. ცალკეულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან ურთიერთთანამშრომლობის შესახებ წინადადებების შემუშავება და მათი განხორციელების ხელშეწყობა მისი უფლებამოსილების ფარგლებში;
  - ვ. სტუდენტთა მობილობის, მათთვის ფინანსური მხარდაჭერის ან სხვა სახის შეღავათების გაწევის შესახებ რექტორის და კანცლერისათვის წინადადებების წარდგენა;
  - ზ. ფაკულტეტის საბჭოსთვის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის შესახებ ანგარიშის წარდგენა;
  - თ. ფაკულტეტზე აკადემიური კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორისათვის მიმართვის წარდგენა;
  - ი. ფაკულტეტზე მოწვეული ლექტორების საჭიროების შესახებ რექტორისათვის მიმართვის წარდგენა;
  - კ. რექტორისათვის საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების თემატიკის დასამტკიცებლად წარდგენა;
  - ლ. ფაკულტეტზე აკადემიური/მოწვეული პერსონალის აკადემიური დატვირთვების, სასწავლო ცხრილის შედგენის პროცესის ხელმძღვანელობა და კოორდინირება;
  - მ. სტუდენტის სტატუსის აღდგენის, შეჩერების, შეწყვეტის მიზნით რექტორისათვის წარდგინებით მიმართვა;
  - ნ. უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით, სტუდენტების მოსაზიდად შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება;
  - ო. პრაქტიკის ობიექტების მოძიებისა და მათთან მემორანდუმების გაფორმების ხელშეწყობა;
3. ფაკულტეტზე არსებული საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივად განახლების უზრუნველყოფა;
- ჟ. ფაკულტეტზე არსებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად კონკრეტული აქტივობების კოორდინირება;
- რ. მისი კომპეტენციის ფარგლებში, საბიბლიოთეკო ფონდის განახლების კოორდინირება
- ს. სტუდენტებთან და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან ურთიერთობა, მათთან შეხვედრების სისტემატიური ორგანიზება;

ტ. სხვა უფლებამოსილების შესრულება, რომელიც გამომდინარეობს დეკანის საქმიანობის სპეციფიკიდან და შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მიზნებთან/ამოცანებთან ან/და გამომდინარეობს წინამდებარე დებულებიდან ან/და უნივერსიტეტში მოქმედი შიდა სამართლებრივი აქტიდან.

### **მუხლი 11 ფაკულტეტის საბჭო**

1. ფაკულტეტის საბჭო არის ფაკულტეტის უმაღლესი მართვის კოლეგიური ორგანო, რომელსაც ხელმძღვანელობს ფაკულტეტის დეკანი. ფაკულტეტის საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით;
2. ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი და სტუდენტები.
3. ფაკულტეტის საბჭოს დაკომპლექტების და საქმიანობის წესი განისაზღვრება შესაბამისი ფაკულტეტის დებულებით, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი;
4. ფაკულტეტის საბჭო ახორციელებს შემდეგ უფლებამოსილებას:
  - ა. უნივერსიტეტში მოქმედი შიდა სამართლებრივი აქტებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულებს ანიჭებს შესაბამის კვალიფიკაციას;
  - ბ. ჩართულია ფაკულტეტზე არსებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, მათში ცვლილებების შეტანის პროცესში;
  - გ. იხილავს ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საკითხს;
  - დ. იხილავს საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელისა და კონკრეტულ პროგრამაზე მომუშავე ჯგუფის (სამუშაო ჯგუფის) შემადგენლობას და მათ კანდიდატურებს დასამტკიცებლად წარუდგენს მმართველ საბჭოს, ასევე იხილავს და რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს პროგრამის განმავითარებელი მუდმივმოქმედი ჯგუფის შემადგენლობას;
  - ე. იხილავს ფაკულტეტის დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს რექტორს;
  - ვ. იხილავს და შემდგომი რეაგირებისთვის წარუდგენს რექტორს ფაკულტეტზე გამოსაცხადებელი აკადემიური კონკურსის საჭიროებას;
  - ზ. იხილავს და რექტორს წარუდგენს ფაკულტეტის განსავითარებელ სტრატეგიულ გეგმას;
  - თ. შეიმუშავებს სტუდენტთა საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის თემატიკას და განსაზღვრავს მათ ხელმძღვანელებს/რეცენზენტებს, შემდგომ წარუდგენს რექტორს დასამტკიცებლად;
  - ი. განიხილავს და მმართველ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ბაკალავრიატში მისაღები კონტიგენტის ოდენობას და ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის არჩევით საგანს/საგნებს, ადგილების კვოტას არჩევითი საგნების მიხედვით, ჩასაბარებელი გამოცდებისათვის მისანიჭებულ კოეფიციენტებს, საგანთა პრიორიტეტებს.
  - კ. ახორციელებს სხვა უფლებამოსილებას რომელიც დადგენილია წინამდებარე დებულებით ან/და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით.

### **მუხლი 12 ვიცე-რექტორი ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით**

1. ვიცე-რექტორი ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით არის უნივერსიტეტის ერთ-ერთი მმართველი სუბიექტი. ვიცე-რექტორი ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით მთლიანად უნივერსიტეტის მასშტაბით ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის წარმართვას და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შემუშავებას, ასევე უშუალოდ ზედამხედველობს შემუშავებული სისტემის დანერგვისა და განხორციელების

პროცესს. ვიცე-რექტორი ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით უშუალოდ ექვემდებარება უნივერსიტეტის რექტორს;

2. ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით ვიცე-რექტორის უფლებამოსილებას განეკუთვნება:

ა. სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და პროცედურების შემუშავება/დახვეწა;

ბ. საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სისტემატური მონიტორინგის განხორციელება წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმებისა და ინდიკატორების საფუძველზე;

გ. საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა თაობაზე, რეკომენდაციების შემუშავება;

დ. პერსონალის, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და პოტენციური დამსაქმებლების გამოკითხვის პროცესის ზედამხედველობა / მონიტორინგი;

ე. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის თვითშეფასების კითხვარისა და თვითშეფასების ანგარიშის მომზადება, თანდართული დოკუმენტაციის შეგროვების პროცესის აღმინისტრირება;

ვ. სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების, ადამიანური რესურსისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობის დადგენა ავტორიზაციის სტანდარტებთან;

ზ. შიდა ხარისხის შეფასების განხორციელების მიზნით, მეთოდოლოგიების შემუშავება;

თ. საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სამსახურებთან ურთიერთობის დამყარება/თანამშრომლობა ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად და დასანერგად;

ი. სასწავლო უნივერსიტეტის დებულებით, შიდასამართლებრივი აქტებითა და მიმართველი საბჭოს გადაწყვეტილებებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებების შესრულება, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

კ. სხვა უფლებამოსილების შესრულება, რომელიც გამომდინარეობს ხარისხის განვითარების მიმართულებით ვიცე-რექტორის საქმიანობის სპეციფიკიდან და შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მიზნებთან/ამოცანებთან ან/და გამომდინარეობს წინამდებარე დებულებიდან ან/და უნივერსიტეტში მოქმედი შიდა სამართლებრივი აქტებიდან.

3. ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით ვიცე-რექტორს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების ეფექტურად შესასრულებლად ექვემდებარება უნივერსიტეტში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

### **მუხლი 13 ვიცე-რექტორი სასწავლო პროცესის მიმართულებით**

1. ვიცე-რექტორი სასწავლო პროცესის მიმართულებით არის უნივერსიტეტის აღმინისტრაციული თანამდებობის პირი, რომელიც უნივერსიტეტის მასშტაბით ხელმძღვანელობს და მართავს უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო პროცესს. ვიცე-რექტორი სასწავლო პროცესის მიმართულებით უშუალოდ ექვემდებარება უნივერსიტეტის რექტორს;

2. სასწავლო პროცესის მიმართულებით ვიცე-რექტორის უფლებამოსილებას განეკუთვნება:

- ა. ECTS კრედიტებთან სასაწავლო გეგმის შესაბამისობისა და სტუდენტთა დატვირთვის ECTS მოთხოვნებთან შესაბამისობის კონტროლის განხორციელება;
- ბ. სასაწავლო პროცესის შეუფერხებლად მიმდინარეობის მონიტორინგი;
- გ. აკადემიური/ მოწვეული პერსონალის აკადემიური სემესტრული დატვირთვის განსაზღვრა/ მონიტორინგი;
- დ. სტუდენტთა მობილობის პროცესის ადმინისტრირება;
- ე. აკადემიური კალენდარის შედგენა / კორექტირება;
- ვ. მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში, სასაწავლო უნივერსიტეტის დებულებით ან/და შიდასამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების შესრულება.
- ზ. სხვა უფლებამოსილების შესრულება, რომელიც გამომდინარეობს სასაწავლო პროცესის ადმინისტრირების მიმართულებით ვიცე-რექტორის საქმიანობის სპეციფიკიდან და შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მიზნებთან/ ამოცანებთან ან/და გამომდინარეობს წინამდებარე დებულებიდან ან/და უნივერსიტეტში მოქმედი შიდა სამართლებრივი აქტებიდან.
- 3. სასაწავლო პროცესის მიმართულებით ვიცე-რექტორს, ამ დებულებითა და უნივერსიტეტში მოქმედი შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ფუნქციების ეფექტურად შესასრულებლად ექვემდებარება უნივერსიტეტის სასაწავლო პროცესის მართვის სამსახური.

#### **მუხლი 14 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური**

- 1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ანგარიშვალდებულია და ექვემდებარება ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით ვიცე-რექტორს;
- 2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ასრულებს ქვემოთ მოყვანილ ფუნქციებს:
  - ა. უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებული თანამშრომლობით უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვა და დანერგილი მექანიზმების განხორციელების ხელშეწყობა/ კონტროლი;
  - ბ. უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებული თანამშრომლობით ავტორიზაციის და აკრედიტაციის თვითშეფასების პროცესის კოორდინირება;
  - გ. უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან კოორდინირებული თანამშრომლობით უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების სისტემის შემუშავება და შეფასებაში მისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობა;
  - დ. უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან კოორდინირებული თანამშრომლობით აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური საქმიანობის შეფასების სისტემის შემუშავება და შეფასების პროცესში, მისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობა;
  - ე. ფაკულტეტებთან კოორდინირებული თანამშრომლობით არსებული საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივ განახლებაზე, გაუმჯობესებაზე ზრუნვა და მონიტორინგი;
  - ვ. უნივერსიტეტში მოქმედი წესების შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების, მისი განახლების ან ახალი პროგრამის შემუშავებისას დასკვნის მომზადება;



ზ. რეკომენდაციების მომზადება და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისთვის/თანამდებობის პირებისთვის მისი წარდგენა შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე;

თ.სხვა უფლებამოსილების შესრულება, რომელიც გამომდინარეობს ხარისხის სამსახურის საქმიანობის სპეციფიკიდან და შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მიზნებთან/ამოცანებთან ან/და გამომდინარეობს წინამდებარე დებულებიდან ან/და უნივერსიტეტში მოქმედი შიდა სამართლებრივი აქტებიდან.

### **მუხლი 15 საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური**

1.საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური არის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეული. საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურის მიზანია უნივერსიტეტის საქმიანობის განვითარება საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით, მათ შორის სხვადასხვა ტიპის საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება, უნივერსიტეტში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესისა და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია. უნივერსიტეტის დამკვიდრება საერთაშორისო საგანმანათლებლო და საერთაშორისო სამეცნიერო, კვლევით სივრცეში. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური უშუალოდ ექვემდებარება უნივერსიტეტის რექტორს;

2. საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურის უფლებამოსილებაა:

ა.უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შემუშავება;

ბ. საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის რეპუტაციის ამაღლებასა და ცნობადობის ზრდის უზრუნველყოფა;

გ. უნივერსიტეტის სხვადასხვა, საგანმანათლებლო, კვლევით ან/და სამეცნიერო პროფილის, საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანების უზრუნველყოფა;

დ. საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და უნივერსიტეტში მისი დანერგვის ხელშეწყობა;

ე. უცხო ქვეყნის უნივერსიტეტებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება;

ვ. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება;

ზ. სხვადასხვა საერთაშორისო საგანმანათლებლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებში უნივერსიტეტის ჩართულობის უზრუნველყოფა;

თ. საერთაშორისო პროექტების შესახებ ინფორმაციის მოძიება და მისი გავრცელება უნივერსიტეტში;

ი. სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის უზრუნველყოფა;

კ. უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული პერსონალის საერთაშორისო მობილობის უზრუნველყოფა;

ლ. სხვა უფლებამოსილების შესრულება, რომელიც გამომდინარეობს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ფუნქციების სპეციფიკიდან და შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მიზნებთან/ამოცანებთან ან/და გამომდინარეობს წინამდებარე დებულებიდან ან/და უნივერსიტეტში მოქმედი შიდა სამართლებრივი აქტებიდან.

### **მუხლი 16 სასწავლო პროცესის მართვის სამსახური**

1.სასწავლო პროცესის მართვის სამსახური ანგარიშვალდებულია და უშუალოდ ექვემდებარება სასწავლო პროცესის მიმართულებით უნივერსიტეტის ვიცე-რექტორს;.

2. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ფუნქციებს განეკუთვნება:



- ა. უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეუფერხებლობის უზრუნველყოფა;
- ბ. მობილობისა და შიდა მობილობის პროცესის კოორდინირება;
- გ. ფაკულტეტის დეკანთან კოორდინირებული მუშაობით აკადემიური კალენდარის შედგენა და რექტორისათვის დასამტკიცებლად წარდგენა;
- დ. კანონმდებლობით დადგენილი წესით, საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოება და უნივერსიტეტის შიდა ელექტრონულ ბაზაში არსებული ინფორმაციის სისწორისა და უტყუარობის უზრუნველყოფა;
- ე. არსებული შიდა საუნივერსიტეტი ელექტრონული ბაზის გამართულად მუშაობის უზრუნველყოფა, ბაზაში სასწავლო პროცესისთვის რელევანტური ინფორმაციის მუდმივად განახლება;
- ვ. დეკანისაგან მიღებული ინფორმაციით, დიპლომისა და დიპლომის დანართის გაცემის პროცესის კოორდინირება;
- ზ. დეკანისაგან მიღებული ინფორმაციით სტუდენტის ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მომზადება და რექტორისათვის დასამტკიცებლად წარდგენა;
- თ. შიდა ბაზაში სტუდენტების რეგისტრაცია;
- ი. სხვა უფლებამოსილების შესრულება, რომელიც გამომდინარეობს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ფუნქციების სპეციფიკიდან და შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მიზნებთან/ამოცანებთან ან/და გამომდინარეობს წინამდებარე დებულებიდან ან/და უნივერსიტეტში მოქმედი შიდა სამართლებრივი აქტებიდან.

### **მუხლი 17 კვლევების ხელშეწყობის ცენტრი**

1. კვლევების ხელშეწყობის ცენტრი არის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეული, რომლის მიზანია უნივერსიტეტის კვლევითი პოტენციალის განვითარება. კვლევის ხელშეწყობის ცენტრი უშუალოდ ექვემდებარება უნივერსიტეტის რექტორს;
2. კვლევის ხელშეწყობის ცენტრის უფლებამოსილებას განეკუთვნება:
  - ა. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგიის შემუშავება და მისი განხორციელების უზრუნველყოფა;
  - ბ. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმების შემუშავება / განხორციელება;
  - გ. სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის მიზნით, სამეცნიერო ცენტრებთან პარტნიორული ურთიერთობების პროცესების უზრუნველყოფა;
  - დ. სასწავლო უნივერსიტეტის კვლევითი პოტენციალისა და პროდუქტიულობის შეფასების სისტემის შემუშავება, მის დანერგვის უზრუნველყოფა და შედეგების მიხედვით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა;
  - ე. ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების დაგეგმვა / ორგანიზება, სამეცნიერო კონფერენციების, სემინარების, ვორქშოპების, სასწავლო-მეთოდური, სამეცნიერო-მეთოდოლოგიური და სხვა ტიპის ღონისძიებების ორგანიზება;
  - ვ. სხვა უფლებამოსილების შესრულება, რომელიც გამომდინარეობს კვლევების ხელშეწყობის ცენტრის ფუნქციების სპეციფიკიდან და შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მიზნებთან/ამოცანებთან ან/და გამომდინარეობს წინამდებარე დებულებიდან ან/და უნივერსიტეტში მოქმედი შიდა სამართლებრივი აქტებიდან.

## **მუხლი 18 ადამიანური რესურსების მართვის სამსახური**

1. ადამიანური რესურსების მართვის სამსახური არის უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული, რომლის მიზანია უნივერსიტეტში მაღალკვალიფიციური პერსონალის მოზიდვის ხელშეწყობა, უსდ-ში დასაქმებული პერსონალის პროფესიული განვითარების კოორდინირება. ადამიანური რესურსების სამსახური უშუალოდ ექვემდებარება კანცლერს;
2. ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ფუნქციებს განეკუთვნება:
  - ა. უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან და თანამდებობის პირებთან კოორდინირებული თანამშრომლობით ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შემუშავება.
  - ბ. მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვის, მათი შერჩევის, სამსახურში აყვანის და მართვის კოორდინირება;
  - გ. პერსონალის პირადი საქმეებისა და მათთან დაკავშირებული დოკუმენტაციის აღრიცხვა, აღნუსხვა, წარმოება, შენახვა და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის ელექტრონულ ბაზაში ასახვა;
  - დ. უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან და ხელმძღვანელ პირებთან კოორდინირებული თანამშრომლობით პერსონალის (როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური და მოწვეული პერსონალის) სამართლიანი შეფასების სისტემის შექმნა, დანერგვა, განხორციელება;
  - ე. უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან და თანამდებობის პირებთან კოორდინირებული თანამშრომლობით პერსონალის (როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური და მოწვეული პერსონალის) პერიოდული შეფასების ორგანიზება;
  - ვ. პერსონალის შეფასების შედეგების ანალიზი, ანალიზის თაობაზე ერთიანი ანგარიშის შედგენა, შესაბამისი საჭიროების გამოვლენა და საჭიროების შემთხვევაში, მისი უფლებამოსილების ფარგლებში რეაგირება;
  - ზ. უნივერსიტეტის სტრუქტურის ანალიზი, სტრუქტურის თაობაზე შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება;
  - თ. უნივერსიტეტში პერსონალის გუნდური მუშაობის უზრუნველსაყოფად შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა;
  - ი. პერსონალის წახალისების სისტემის შექმნა, განახლება, დანერგვა და განხორციელება;
  - კ. ახალ თანამშრომელთა სამუშაო გარემოში ადაპტაციის სისტემის შექმნა და დანერგვა;
  - ლ. კონკრეტულ პოზიციებზე, კონკურსის შედეგად, დასანიშნი პირების რექტორისა და კანცლერისათვის წარდგენა;
  - მ. უნივერსიტეტში კორპორატიული კულტურის განვითარებაზე ზრუნვა;
  - ნ. სხვა ფუნქციების შესრულება, რომელიც გამომდინარეობს უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებიდან ან/და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის სპეციფიკიდან.

## **მუხლი 19 ფინანსური სამსახური**

1. ფინანსური სამსახური არის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული ერთეული, რომლის მიზანია უნივერსიტეტის ფინანსების ეფექტური მართვა, უნივერსიტეტის საბუღალტრო პროცესების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღრიცხვა, არსებული ფინანსური მდგომარეობის ანალიზი და არსებული საგადასახადო რისკების მაქსიმალური შემცირება. ფინანსური სამსახური უშუალოდ ექვემდებარება უნივერსიტეტის კანცლერს;
2. ფინანსური სამსახურის ფუნქციებს განეკუთვნება:

- ა. უნივერსიტეტის ფინანსური პოლიტიკის შემუშავება, განხორციელება და მისი განხორციელების კონტროლი;
- ბ. უნივერსიტეტში ფინანსური საკითხების მარეგულირებელი ნორმების, პროცედურების, წესების შემუშავება, მოდიფიცირება, აღსრულება, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებული მუშაობით;
- გ. ბიუჯეტის პროექტის შედგენა, მმართველი საბჭოსთვის წარდგენის მიზნით;
- დ. ბიუჯეტის შესრულებაზე კონტროლი;
- ე. ბიუჯეტის შესრულების შესახებ მმართველი საბჭოსთვის ანგარიშის წარდგენა;
- ვ. უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, აქტივობების დასაფინანსებლად უნივერსიტეტის ფინანსების დაგეგმვა;
- ზ. ფინანსური და საგადასახადო რისკების გათვლა, ანალიზი და უნივერსიტეტის რექტორისა და კანცლერისათვის რეკომენდაციების წარდგენა;
- თ. ფინანსების ხარჯვის კონტროლის სისტემის დანერგვა, ფინანსების ხარჯვაზე მონიტორინგი;
- ი. საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების პროცესის სისწორის, უტყუარობისა და კანონიერების მონიტორინგი, სწორი, კანონიერი ბუღალტრული აღრიცხვის უზურნველყოფა;
- კ. ინვენტარიზაციის პროცესის კოორდინირება;
- ლ. თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების დროულად და შესაბამისი ოდენობით გაცემის კოორდინირება;
- მ. ბიუჯეტთან ანგარიშსწორების პროცესის კოორდინირება და კონტროლი;
- ნ. მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან არსებული ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვა, ანგარიშგება და ანგარიშსწორება;
- ო. სტუდენტთა მიერ სწავლის საფასურის გადახდის აღრიცხვა, ასევე სტუდენტთა ფინანსური ვალდებულებების კონტროლი;
- პ. საბუღალტრო, ფინანსური ოპერაციების, კანონმდებლობით დადგენილი წესით ასახვა შესაბამის საბუღალტრო პროგრამა ორისში;
- ჟ. არსებული ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვა, უნივერსიტეტის ქონებისა და მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა/ინვენტარიზაცია, შედეგების ასახვა შესაბამის საბუღალტრო პროგრამა ორისში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- რ. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საგადასახადო დეკლარაციების შედგენა და კანონით დადგენილი წესით შესაბამის სახელმწიფო ორგანოში წარდგენა;
- ს. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად სტატისტიკური ანგარიშგების დროული შედგენა და წარდგენა;
- ტ. უფლებამოსილების ფარგლებში შემოსული წერილების განხილვა და შესაბამისი პასუხის მომზადება;
- უ. უფლებამოსილების ფარგლებში, საჭიროებისამებრ სტუდენტების ინფორმირება, მათთვის სწავლის საფასურის გადახდის თაობაზე საჭირო კონსულტაციის გაწევა;
- ფ. უფლებამოსილების ფარგლებში, საჭიროებისამებრ, უნივერსიტეტის პერსონალის კონსულტირება;
- ქ. სხვა უფლებამოსილების განხორციელება, რომელიც გამომდინარეობს ფინანსური სამსახურის მუშაობის სპეციფიკიდან და უნივერსიტეტის მიზნებიდან ან/და გათვალისწინებულია უნივერსიტეტში მოქმედი შიდა სამართლებრივი აქტებით ან/და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

## **მუხლი 20 მარკეტინგისა და სტრატეგიული კომუნიკაციების სამსახური**

1. მარკეტინგისა და სტრატეგიული კომუნიკაციების სამსახურის მიზანია, უნივერსიტეტის საქმიანობის პოპულარიზების, უნივერსიტეტის ცნობადობის გაზრდისა და სხვა მარკეტინგული ღონისძიებების გზით, აბიტურიენტების/სტუდენტების მოზიდვა. მარკეტინგისა და სტრატეგიული კომუნიკაციების სამსახური უშუალოდ ექვემდებარება კანცლერს;

2. მარკეტინგისა და სტრატეგიული კომუნიკაციების სამსახურის ფუნქციებია:

ა. უნივერსიტეტის ბრენდ-პლატფორმისა და მასზე მორგებული მარკეტინგული სტრატეგიის/სამოქმედო გეგმის შემუშავება / განხორციელება;

ბ. შესაბამის სამიზნე ჯგუფებთან მიმართებით საკომუნიკაციო გეგმების შემუშავება / განხორციელება;

გ. უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით, არსებული ბაზრის კვლევა, უნივერსიტეტის არსებული რესურსებისა და არსებული საგანმანათლებლო პროდუქტების ანალიზი;

დ. უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით, აბიტურიენტების/სტუდენტების მოსაზიდად შესაბამისი მარკეტინგული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;

ე. სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ერთობლივი პროექტების განხორციელება რომლებიც მიზნად ისახავს სტუდენტების/აბიტურიენტების მოზიდვას ან/და უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლებას;

ვ. უნივერსიტეტის საქმიანობის მაქსიმალურად პოპულარიზება;

ზ. უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით, სხვადასხვა მარკეტინგული ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლების მიზნით;

თ. უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ გვერდისა და სოციალური ქსელის საშუალებით უნივერსიტეტში მიმდინარე სიახლეების პროაქტიული გავრცელება;

ი. მარკეტინგული გეგმის შედგენა უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით და მისი წარდგენა რექტორისა და კანცლერისათვის;

კ. უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით, უნივერსიტეტის ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის მართვა;

ლ. საჭიროების შესაბამისად უნივერსიტეტის სარეკლამო მასალის (სარეკლამო აუდიო/ვიდეო რგოლი, ბროშურა და ა.შ). მომზადება;

მ. უნივერსიტეტში მიმდინარე ღონისძიებების სხვადასხვა წყაროს საშუალებით გაშუქების უზრუნველყოფა;

ნ. მისი უფლებამოსილების ფარგლებში უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ღონისძიებების ორგანიზების პროცესში ჩართვა;

ო. სხვა უფლებამოსილების განხორციელება, რომელიც გამომდინარეობს მარკეტინგისა და სტრატეგიული კომუნიკაციების სამსახურის მუშაობის სპეციფიკიდან და უნივერსიტეტის მიზნებიდან/ამოცანებიდან ან/და გათვალისწინებულია უნივერსიტეტში მოქმედი შიდა სამართლებრივი აქტებით.

## **მუხლი 21 იურიდიული სამსახური**

1. იურიდიული სამსახურის მიზანია უნივერსიტეტის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში უზრუნველყოფა და უნივერსიტეტის ინტერესების იურიდიული წარმოდგენა/დაცვა, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, ამ დებულებისა და უნივერსიტეტში მოქმედი შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად. იურიდიული სამსახური უშუალოდ ექვემდებარება უნივერსიტეტის კანცლერს;

2. იურიდიული სამსახურის უფლებამოსილებას განეკუთვნება:

ა. უნივერსიტეტის დოკუმენტაციის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;

ბ. უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების, მათში შესატანი ცვლილებების, ხელშეკრულებებისა და სხვა დოკუმენტების პროექტების მომზადება ან/და სამართლებრივ ექსპერტიზა;

გ. უნივერსიტეტში შემოსული წერილების გაცნობა, წერილებზე რეაგირების პასუხის პროექტის მომზადება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან ურთიერთთანამშრომლობით;

დ. კომპეტენციის ფარგლებში, სასწავლო უნივერსიტეტში შემოსული ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საჩივრების, განხილვა/ მონაწილეობა განხილვაში;

ე. სტუდენტებისათვის, თანამშრომელთათვის, აბიტურიენტებისათვის, უნივერსიტეტში მობილობით გადმოსვლის მსურველებისთვის შესაბამისი იურიდიული კონსულტაციის გაწევა უნივერსიტეტთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებზე;

ვ. სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობა სამივე ინსტანციის სასამართლოსა და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსა თუ სხვა მესამე პირებთან ურთიერთობაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ზ. კანონმდებლობის ცვლილების შემთხვევაში, შესაბამისი ზომების მიღება, კერძოდ უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ინფორმირება და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტების საკანონმდებლო ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანის კოორდინირება;

თ. სხვა უფლებამოსილების განხორციელება, რომელიც გამომდინარეობს იურიდიული სამსახურის მუშაობის სპეციფიკიდან და უნივერსიტეტის მიზნებიდან/ამოცანებიდან ან/და გათვალისწინებულია უნივერსიტეტში მოქმედი შიდა სამართლებრივი აქტებით.

## **მუხლი 22 კანცლერია**

1. კანცლერია წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულს, რომლის მიზანია, უნივერსიტეტში დოკუმენტბრუნვის პროცესის შეუფერხებელი და გამართული მუშაობა. კანცლერია ექვემდებარება რექტორსა და კანცლერს და ანგარიშვალდებულია კანცლერის წინაშე.

2. კანცლერიის ფუნქციებია:

ა. დოკუმენტბრუნვის სისტემის დანერგვის უზრუნველყოფა;

ბ. უნივერსიტეტში შემოსული დოკუმენტების საქართველოს კანონმდებლობით ან/და უნივერსიტეტის შიდა წესების შესაბამისად აღრიცხვა;

გ. დოკუმენტების მომზადების ვადებისა და გაფორმების ზოგადი წესის დაცვის კონტროლი, ასევე საჭიროების მიხედვით რექტორის ბრძანების პროექტების მომზადება/გაფორმება;

დ. სასწავლო უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებისა და სხვა დოკუმენტების აღრიცხვა და საჭიროების შემთხვევაში აღრუსატებისთვის გადაცემა;

ე. ხელშეკრულებების რეგისტრაციის უზრუნველყოფა;



- ვ. დოკუმენტების ასლების დამოწმება;
- ზ. კომპეტენციის ფარგლებში, სტატისტიკური მონაცემების შესახებ ინფორმაციის მომზადება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისათვის მიწოდების მიზნით;
- თ. დოკუმენტების შენახვა, დაარქივება და მათი სისრულის/მთლიანობის დაცვის უზრუნველყოფა;
- ი. არქივიდან დოკუმენტების ასლის გაცემა;
- კ. საჭიროების შემთხვევაში, დიპლომების, დიპლომის დანართების (რომელთა გაცემა არ მოხდა ობიექტური მიზეზებით) არქივში შენახვა, აღრიცხვა, და მათი სისრულის/მთლიანობის დაცვის უზრუნველყოფა;
- ლ. შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან ურთიერთთანამშრომლობით სტუდენტებზე დიპლომების, დიპლომის დანართების გაცემა და მიღება ჩაბარების აქტის შედგენა;
- მ.სხვა უფლებამოსილების განხორციელება რომელიც გამომდინარეობს კანცელარიის მუშაობის სპეციფიკიდან და უნივერსიტეტის მიზნებიდან/ამოცანებიდან ან/და გათვალისწინებულია უნივერსიტეტში მოქმედი შიდა სამართლებრივი აქტებით.
- 3.კანცელარიის სტრუქტურულ ერთეულში ირიცხება არქივარიუსი, რომელიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტში არქივის სისტემის გამართულ ფუნქციონირებას. არქივარიუსის ფუნქციებია:
  - ა.სასწავლო უნივერსიტეტის თანამშრომელთა მიერ საარქივოდ მომზადებული მასალების მიღება, აღრიცხვა და შენახვა სათანადო წესით;
  - ბ.არქივში დაცული დოკუმენტაციის სისტემატიზაცია;
  - გ.არქივში მოქმედი ელექტრონული ბაზის წარმოება;
  - დ.არქივში დაცულ საქმეებსა და დოკუმენტებზე საცნობარო აპარატის აღწერების, კატალოგების შექმნა და განახლება;
  - ე.არქივში დაცული დოკუმენტების გამოყენების ორგანიზება; დადგენილი წესით დოკუმენტების ასლებისა და საარქივო ცნობების გაცემა;
  - ვ.არქივში დაცული დოკუმენტების იმ საქმეთა აღწერების ჩატარება, რომლებიც ექვემდებარებიან შენახვას;
  - ზ.შენახვის ვადების გასვლის გამო, გასანადგურებლად გამოყოფილი საქმეების აქტების შედგენა;
  - თ.სტრუქტურული ერთეულების მიერ დროებით შენახვას დაქვემდებარებული დოკუმენტაციის აღწერისა და განადგურების კოორდინაცია;
  - ი.სამსახურის უფროსის მიმდინარე დავალებების შესრულება, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

### **მუხლი 23 ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური**

- 1.ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის მიზანია უნივერსიტეტში ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემების შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფა და ამ გზით უნივერსიტეტის საქმიანობის შეუფერხებლად, ეფექტურად განხორციელების ხელშეწყობა. ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური უშუალოდ ექვემდებარება კანცლერს;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფლებამოსილებას განეკუთვნება:
  - ა.ინფორმაციული სისტემების მართვის პოლიტიკის შემუშავება / განხორციელება;
  - ბ. უნივერსიტეტში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემების მაღალ დონეზე, შეუფერხებლად და გამართულად მუშაობის უზრუნველყოფა;

- გ. სასწავლო უნივერსიტეტში დანერგილი ინფორმაციული სისტემების ადმინისტრირებისა და ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- დ. ინფორმაციის მოძიება ინოვაციური ტექნოლოგიების შესახებ, ამის თაობაზე შესაბამისი სტრუქტურული ერთეულ(ებ)ის ინფორმირება და ზრუნვა მათ დანერგვაზე;
- ე. საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტში ქსელური, ტექნიკური, ციფრულ განახლებაზე მუდმივად ზრუნვა. სასწავლო უნივერსიტეტში თანამედროვე ელექტრონული პლატფორმებისა და სხვა ტექნოლოგიური რესურსების დანერგვა-განვითარებაზე ზრუნვა;
- ვ. საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების შესაბამისი ტექნიკით ან/და ინვენტარით დროულად მომარაგების უზრუნველყოფა;
- ზ. უნივერსიტეტის ბალანსზე არსებული ტექნიკის განაწილება და კონტროლი, მათი მდგომარეობის პერიოდული კონტროლი;
- თ. ინფორმაციული ტექნოლოგიების, ტექნიკის, ინფრასტრუქტურის ხელისაწვდომობის უზრუნველყოფა სტუდენტებისა და პერსონალისთვის;
- ი. უნივერსიტეტში არსებულ ელექტრონულ მატარებლებზე არსებული მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფა;
- კ. საჭიროების შემთხვევაში სტუდენტებისა და პერსონალისთვის შესაბამის კონსულტაციის/დახმარების გაწევა უფლებამოსილების ფარგლებში. სასწავლო უნივერსიტეტში დანერგილი ინფორმაციული სისტემების სწორი და უსაფრთხო სარგებლობის მიზნით, ტრენინგებსა და ინსტრუქციების ხელმისაწვდომობა პერსონალისა და სტუდენტთათვის;
- ლ. უნივერსიტეტის კორპორატიული ელექტრონული ფოსტის მართვა;
- მ. საჭიროების შემთხვევაში თანამშრომელთათვის ელექტრონული ფოსტის დამზადება, პაროლის აღდგენა;
- ნ. ვებ-გვერდის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა, მუდმივ განახლებასა და გაუმჯობესებაზე ზრუნვა;
- ო. სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ მოწოდებული ინფორმაციის განთავსება უსდ-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე და პროგრამული უზრუნველყოფა;
- პ. სასწავლო უნივერსიტეტში საგამოცდო პროცესის ელექტრონული ტესტირების ფორმით მომზადებასა და მიმდინარეობაზე კონტროლი / მონიტორინგი;
- ჟ. მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მონაცემთა დაკარგვის პრევენციის მიზნით სარეზერვო ასლების შექმნა (ე.წ. backup);
- რ. სხვა უფლებამოსილების განხორციელება რომელიც გამომდინარეობს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის მუშაობის სპეციფიკიდან და უნივერსიტეტის მიზნებიდან/ამოცანებიდან ან/და გათვალისწინებულია უნივერსიტეტში მოქმედი შიდა სამართლებრივი აქტებით.

## **მუხლი 24 მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური**

1. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის მიზანია უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების კონტროლი, ზედამხედველობა, უნივერსიტეტის შესყიდვების კონტროლი და ამ გზით უნივერსიტეტის საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელება. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური უშუალოდ ექვემდებარება კანცლერს;
2. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციებია:

- ა. უნივერსიტეტის შესყიდვების დაგეგმვა და შესყიდვის პროცესის (მათ შორის კანონიერების და შიდა რეგულაციებთან შესაბამისობის) კოორდინირება და კონტროლი;
- ბ. საჭიროების მიხედვით შესყიდვების განხორციელებისას ფასების შესწავლა ოპტიმალური შესყიდვის განხორციელების მიზნით;
- გ. შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით შესყიდვის პროცესის კანონიერების უზრუნველყოფა, მათ შორის შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადების კოორდინირება, ხელშეკრულებების შემთხვევაში, მისი პირობების შესრულების მონიტორინგი;
- დ. უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური ფასეულობების მუდმივი მონიტორინგი, შესაბამისი ხარვეზების აღმოჩენისა და მისი გაუმჯობესების მიზნით;
- ე. საჭიროების მიხედვით, უნივერსიტეტის საქმიანობისთვის საჭირო მატერიალური ფასეულობების, ტექნიკისა და სხვა აღჭურვილობის შეძენა, შენახვა, განაწილება, აღწერა და მართვა;
- ვ. საჭიროების მიხედვით, სამშენებლო, სამონტაჟო, მოწყობის, გამწვანების სამუშაოების ჩატარების კოორდინირება/უზრუნველყოფა. ასევე, მიმდინარე სამშენებლო, სამონტაჟო, მოწყობის სამუშაოების მუდმივი კონტროლი, ხარვეზების დაფიქსირება და მათ აღმოფხვრის პროცესის კოორდინირება;
- ზ. უნივერსიტეტში არსებული ელექტრო სისტემების, წყალგაყვანილობის, კავშირგაბმულობის, ლიფტების გამართულად, უსაფრთხოდ მუშაობის უზრუნველყოფა;
- თ. სამშენებლო ნარჩენების უნივერსიტეტის ტერიტორიიდან დროულად და კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გატანის უზრუნველყოფა;
- ი. უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის (შენობების) საექსპლუატაციო მდგომარეობის სისტემატიური კონტროლი, აღმოჩენილი დეფექტების დაფიქსირება და მათი აღმოფხვრის პროცესის კოორდინირება;
- კ. უნივერსიტეტის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული ავტოსატრანპორტო საშუალებების გამართულად და უსაფრთხოდ ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- ლ. უნივერსიტეტის, მისი სტრუქტურული ერთეულების საჭირო ინვენტარით, მასალით მომარაგების უზრუნველყოფა;
- მ. უნივერსიტეტის საწყობის მართვა, საწყობში არსებული მატერიალური ფასეულობების დაცვა, აღრიცხვა და საწყობის სისტემის გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- ნ.სხვა უფლებამოსილების განხორციელება რომელიც გამომდინარეობს მატერიალური ტექნიკური სამსახურის მუშაობის სპეციფიკიდან და უნივერსიტეტის მიზნებიდან/ამოცანებიდან ან/და გათვალისწინებულია უნივერსიტეტში მოქმედი შიდა სამართლებრივი აქტებით.

## **მუხლი 25 ბიბლიოთეკა**

